ჩინეთისა და ევროკავშირის გეოსტრატეგიული ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში

ანა იაკობაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ანა იაკობაძე

20.06.2024

აბსტრაქტი

ეს სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს ჩინეთისა და ევროკავშირის გეოპოლიტიკურ სტრატეგიებს (ინტერესთა კონფლიქტს) საქართველოში, რომელიც განხილულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის უფრო ფართო კონტექსტში. საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორივე გლობალური ძალის სტრატეგიულ ამბიციებში. ჩინეთის სარტყელი და გზის ინიციატივა (BRI) და ევროკავშირის მიერ კანდიდატის სტატუსის მონიჭება არის ორი ძირითადი მიმართულება, რომელიც აყალიბებს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოს. კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ჩინეთისა და ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენების ხარისხი, მოახდინოს შესაბამისი სტრატეგიული ინტერესების ანალიზი და აღნიშნული ინიციატივების გავლენა სახელმწიფოს განვითარებასა და საგარეო პოლიტიკაზე.

კვლევა იყენებს თვისებრივ მეთოდებს, მათ შორის სამაგიდო კვლევას, შემთხვევის შესწავლის ანალიზს და ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებს ექსპერტებთან. ნაშრომმა გამოიყენა ევროპეიზაციისა და რეგიონალიზმის თეორიულ მიმდინარეობები. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ევროკავშირის მიზანია დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება ეკონომიკური განვითარებასთან ერთად, მაშინ, როცა ჩინეთი ამ ეტაპზე კონცენტრირებულია ეკონომიკური სფეროთი, კერძოდ ინფრასტრუქტურული (სატრანსპორტო) პროექტებით. ჩინური ინვესტიციების ზრდამ შესაძლოა სამომავლოდ გამოიწვიოს ჩინეთზე ფინანსური დამოკიდებულება, რაც გამოკვეთა ცენტრალური აზიის რეგიონის შესწავლამ.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ჩინეთი, ევროკავშირი, სარტყელი და გზის ინიციატივა, კანდიდატის სტატუსი, სამხრეთ კავკასია, რეგიონალიზმი, ევროპეიზაცია.

ABSTRACT

This master's thesis explores the geopolitical strategies (conflict of interests) of China and the European Union in Georgia, considered within the broader context of the South Caucasus region. Georgia plays a crucial role in the strategic ambitions of both global powers. China's Belt and Road Initiative (BRI) and the EU's granting of candidate status are two primary directions shaping Georgia's political and economic environment. The research aims to examine the extent of economic and political influences exerted by China and the EU in Georgia, analyze their respective strategic interests, and assess the impact of these initiatives on the country's development and foreign policy.

The study employs qualitative methods, including desk research, case study analysis, and semi-structured interviews with experts. The theoretical frameworks of Europeanization and regionalism have been utilized. The analysis of the results revealed that the EU aims to strengthen democratic institutions alongside economic development, while China is currently focused on the economic sphere, specifically on infrastructure (transportation) projects. The increase in Chinese investments may potentially lead to financial dependence on China in the future, as highlighted by the study of the Central Asian region.

Keywords: Georgia, China, European Union, Belt and Road Initiative, Candidate status, South Caucasus, Regionalism, Europeanization